ეთიკისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი

დონე: ორგანიზაცია	თარიღი: მიღებული: 2011 წ. იანვარი ბოლო ცვლილება: 2022 წ. მარტი
ოფისი: მარკეტინგი; HR დეპარტამენტი	მონახაზი: გარემოსდაცვის და სოციალური საქმიანობის მენეჯერი
არეალი: ძირითადი დოკუმენტები	დამტკიცებული: სამეთვალყურეო საბჭო

სარჩევი

1. კრედო ბანკის პასუხისმგებლობები 2
2. კონფიდენციალურობა და პერსონალური ინფორმაციის დაცვა 4
3. ინტერესთა კონფლიქტი 6
4. ძალადობა და დისკრიმინაცია 8
5. საჩუქრები 9
6. თანაბარი დასაქმების პირობები 9
7. ფინანსური ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება 10
8. მატერიალური და ინტელექტუალური აქტივების დაცვა 10
9. კომპანიის საკომუნიკაციო სისტემებით სარგებლობა 11
10. შესყიდვითი საქმიანობა 12
11. ალკოჰოლის და აკრძალული ნივთიერებების მოხმარება 12
12. აზარტული თამაშები 13
13. კრედიტის ამოღება 13
14. ჩაცმულობა და შეხედულება 14
15. კოდექსთან შესაბამისობა 14

კრედო ბანკის წარმატება დამოკიდებულია მისი აქციონერების, ადმინისტრატორებისა და თანამშრომლების (შემდგომში კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირი/ები) კომერციული ბანკების ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსთან, მოქმედ კანონმდებლობასა („კონკურენციის შესახებ“ და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი) და წესებთან შესაბამისობაზე.

1. კრედო ბანკის პასუხისმგებლობები

კრედო ბანკი თავის საქმიანობას აწარმოებს პატიოსნად, კომპეტენტურად და ეთიკური ნორმების სრული დაცვით საზოგადოების, მომხმარებლების, დამსაქმებლების, დასაქმებულების, საბანკო სექტორისა და ზოგადად, საფინანსო ბაზრის სხვა მონაწილეების მიმართ; მუდმივად აუმჯობესებს მომსახურებას, პროდუქტებისა და სამუშაოს ხარისხს, შესაბამისად ქმნის პატიოსანი, სამართლიანი, პატივსაცემი, პასუხისმგებლიანი, სანდომიანი და ჯანსაღი ბიზნესის მწარმოებლის რეპუტაციას.

კრედო ბანკის ეთიკისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსით (შემდგომში კოდექსი) დადგენილი დებულებების ცოდნა და შესაბამისობა სავალდებულოა კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა პირისთვის:

- კოდექსი განთავსებულია კრედო ბანკის ინტრანეტზე, ოფიციალურ ვერ გვერდზე და წარმოადგენს თანამშრომლეთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია სავალდებულო სახით ეგზავნებათ თანამშრომლებს ელ. ფოსტის მეშვეობით და იცვლება ვებ გვერდზე ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.

კრედო ბანკის პასუხისმგებლობაა:

- გააცნოს კომპანიის სტანდარტები მომხმარებლებსა და ბიზნეს პარტნიორებს, იმოქმედონ პროფესიონალურად და ეთიკურად, რაც დადებითად აისახება მათზე და ზოგადად, საბანკო საქმიანობაზე;
- პირად ინტერესებზე მაღლა დააყენოს საბანკო პროფესიისა და მომხმარებლის ინტერესები;
- არასოდეს ჩაერთოს კონკურენტებთან მოლაპარაკებებში, რაც კომპანიასა და საბანკო საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება;
- ხელი შეუწყოს საბანკო სექტორისა და ზოგადად, საფინანსო ბაზრის კეთილსინდისიერებასა და მდგრადობას საერთო საზოგადოებრივი სარგებლისთვის და არ დაუშვას არაეთიკური ან არასათანადო ქცევა;
- არ დაუშვას სხვა პირების განზრახ შეცდომაში შეყვანა პროფესიული საქმიანობისას და ინფორმაციის მიწოდებისას;

- არ დაუშვას არაკეთილსინდისიერი, თაღლითური ქმედების განხორციელება, განზრახ შეცდომაში შეყვანა ან ნებისმიერ სხვა ქმედება, რაც უარყოფითად აისახება კრედო ბანკის რეპუტაციაზე, კომპეტენტურობასა და კეთილსინდისიერებაზე;
- არ დაუშვას ისეთ საქმიანობაში ჩაბმა, რომელიც უსამართლოდ ცვლის ფასებს (პროცენტი, საკომისიო და სხვ.) ან ხელოვნურად ზრდის ტრანზაქციის მოცულობას ბაზრის მონაწილეების შეცდომაში შეყვანის მიზნით;
- არ ჩაებას ისეთ ქმედებებში, რომლის მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა ან/და რომელიც აფერხებს/შესაძლოა, შეაფერხოს თავისუფალი საფინანსო საქმიანობა ან ფინანსური პროდუქტების თავისუფალი შეთავაზება ან/და არასათანადო უპირატესობას ანიჭებს/შესაძლოა, მიანიჭოს მათ ფინანსურ ბაზარზე, მათ შორის, საბანკო სექტორის სხვა მონაწილეებთან მიმართებით.
  მაგ: განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების დაწესება ერთი და იმავე ან მსგავს ტრანზაქციებზე ბაზრის არსებული და პოტენციური მონაწილეებისთვის ბაზარზე შესვლის ხელოვნური ბარიერების დაწესებისა ან არსებული მონაწილეების ბაზრიდან გაშვების მიზნით. ასევე, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ექსკლუზიური შეთანხმება ან უარის თქმა გარიგებაზე, მათ შორის, ბანკთან დაკავშირებული მხარის სასარგებლოდ; ასევე, საფინანსო სექტორში მონოპოლიური ბერკეტების მოპოვება და შენარჩუნება, რომლის შედეგი ან მიზანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვაა;
- კრედო ბანკი ზუსტად და პატიოსნად ახორციელებს ბიზნეს საქმიანობას მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად. ყოველი ანგარიში და ჩანაწერი მთლიანად რეალურ ფაქტებს ასახავს.

კრედო ბანკის აქციონერებმა, თანამშრომლებმა და ადმინისტრატორებმა (კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები) თავიანთი მოვალეობები და საპასუხისმგებლო საქმიანობა უნდა აწარმოონ პროფესიულ დონეზე. უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეული პიროვნება მოიქცეს ისე, რომ ამან დადებითად იმოქმედოს კომპანიასა და მის პერსონალზე. დაუშვებელია დასახული მიზანის მიღწევა არაკანონიერი ან არაეთიკური ბიზნეს საქმიანობის ხარჯზე.

კრედო ბანკის ფასეულობებიდან გამომდინარე კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირი ვალდებულია:

- მოიქცეს პროფესიონალურად და მოეპყრას კოლეგებს, მომხმარებლებსა და დაკავშირებულ პირებს ზრდილობიანად;
- თავი შეიკავოს ხმამაღალი ტონით საუბრისგან, შეურაცხყოფისგან;
- მაქსიმალური ყურადღება და კეთილსინდისიერება გამოიჩინოს საქმის შესრულებისას;
- არ შელახოს კრედო ბანკის და ამასთან, სხვა კომერციული ბანკების, საბანკო სექტორისა და ზოგადად, საფინანსო ბაზრის რეპუტაცია და კეთილსინდისიერება. ამასთან, საფრთხე არ შეუქმნას საფინანსო სექტორის ფინანსურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას;
- არ მიაყენოს კრედო ბანკს ზიანი/ზარალი და არ შელახოს მისი იმიჯი და

რეპუტაცია;

- ბანკის ან საკუთარი პოზიციის სტატუსის გამოყენებისას, არ მოახდინოს პირთა შეცდომაში შეყვანა ან/და აღნიშნული სტატუსის გადაჭარბებულად, არასათანადოდ გამოყენება;
- სრულად შეუსაბამოს მისი ქმედებები კომპანიის პოლიტიკას, პროცედურებს, წესებსა და დებულებებს;
- იყოს ინიციატივიანი, ზემდგომისაგან დამოუკიდებლად იზრუნოს საკუთარი სამუშაოს გაუმჯობესებაზე;
- მუდმივადიზრუნოს სამუშაოსათვის საჭირო ცოდნის და უნარების გაღრმავებასა და გაუმჯობესებაზე;
- მუდამ იყოს საკუთარი და კომპანიის მუშაობის გაუმჯობესების საშუალებების ძიებაში;
- ზედმიწევნით დაიცვას პროფესიული ქცევის წესები და კოდექსი.

2. კონფიდენციალურობა და პერსონალური ინფორმაციის დაცვა

საქმიანობის წარმოებისას, კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირებისთვის ხელმისაწვდომი ხდება სხვადასხვა კონფიდენციალური, პირადი და ბიზნეს ინფორმაცია კომპანიის, თანამშრომლების, მომხმარებლებისა და კომპანიასთან დაკავშირებული პირების შესახებ.

ის პირები, რომლებიც ფლობენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც ახდენს ან შესაძლოა, მოახდინოს გავლენა ფინანსური ბაზრის და მათ შორის, საბანკო სექტორის შიდა პროცესებზე, ტრანზაქციებსა და გადაწყვეტილებებზე (მატერიალური არასაჯარო ინფორმაცია), არ გასცემენ/იყენებენ და ხელს არ უწყობენ ასეთი ინფორმაციის არასათანადო გადადინებას სხვა პირებზე ან/და გამოყენებას სხვა პირების მიერ.

კონფიდენციალური ინფორმაცია შესაძლოა არსებობდეს წერილობითი ფორმით (დოკუმენტების დედნები და ასლები) და/ან ზეპირი ფორმით. კონფიდენციალური ინფორმაციაა:

- ბიზნეს ანგარიშები და გეგმები;
- ფინანსური დოკუმენტაცია;
- ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფორმაცია;
- ფინანსური და საბაზრო დაგეგმვა;
- კომერციული და საბანკო ინფორმაცია,
- გეგმები, მეთოდები და გამოცდილები;
- ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება თანამშრომლებს, მომხმარებლებსა და მომწოდებლებს;
- გამოგონებები, პროცესები, მეთოდები, პროდუქტები;
- საპატენტო განაცხადები და სხვა ქონებრივ უფლებები;
- სპეციფიკაციები, ნახაზები, ესკიზები, მოდელები, ნიმუშები;
- ხელსაწყოები;
- კომპიუტერულ პროგრამები;
- ტექნიკურ ინფორმაცია.

კომპანია და ყოველი თანამშრომელი პასუხს აგებს მომხმარებლის კონფიდენციალურობის და პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე. კრედო ბანკი იცავს და პატივს სცემს მისი მომხმარებლების, დაკავშირებული პირებისა და თანამშრომლების კონფიდენციალურ ინფორმაციას.

მომხმარებლის შესახებ ყველანაირი პირადი ინფორმაცია (პირადი ფაილები) ინახება მომხმარებლის პირადი ინფორმაციისთვის განკუთვნილ სპეციალურ კარადაში. ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების შესანახი კარადები ან ოთახი იკეტება გასაღებით. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ან/და თანამშრომლის პირადი ფაილი გაიტანა რომელიმე თანამშრომლემა არსებობს სპეციალური ჟურნალი, სადაც ხდება აღნიშნულის აღწერა. იმ მომხმარებლების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც აღარ არიან აქტიური კლიენტები მათ შესახებ ინფრომაციის შენახვისა და განადგურების წესი მოცემულია ცალკე პოლიტიკაში (საკრედიტო ოპერაციების პოლიტიკა).

კრედო ბანკში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პოლიტიკა, რომელიც თანამშრომელთათვის ხელმისაწვდომად განთავსებულია ინტრანეტზე და მისი დაცვა სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის.

არავის აქვს უფლება გასცეს ზემოთ მითითებული კონფიდენციალური _ სამსახურებრივი, თანამშრომლებისა და კლიენტების შესახებ ინფორმაცია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა: მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება კლიენტს, მის კანონიერ წარმომადგენელს, თავდებს, გარანტორს (მათი წერილობითი მოთხოვნით), საქართველოს ეროვნულ ბანკს, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს (ამ ორი უკანასკნელის მიერ წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში), სამართალდამცავ ორგანოებს მხოლოდ შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობისას. ასევე ინფორმაციის გაცემა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის შესახებ ინფორმაცია შეეხება არალეგალურ საქმიანობას.

დაუშვებელია:

- ნებისმიერი ხერხისა და საშუალების გამოყენებით მესამე პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არ შედის თანამშრომლის კომპეტენციაში;
- ნებისმიერი კონფიდენციალური, საქმიანი თუ კლიენტთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მოიცავს ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- კლიენტებისა და თანამშრომლების შესახებ ორგანიზაციაში დაცული დოკუმენტები, კომპანიასა და მესამე პირებს (პარტნიორები, ინვესტორები, და ა.შ.) შორის ურთიერთობის ამსახველი ნებისმიერი დოკუმენტის გადაცემა;
- ბანკის შიდა ინფორმაციის (მატერიალური არასაჯარო ინფორმაცია, რომელზეც ხელი მიუწვდება ბანკის კაპიტალში (მეწილეობით) ან საქმიანობით, პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით ან ბანკთან სხვა კავშირის გამო ან როდესაც ასეთ ინფორმაციას პირი სხვა გზით მიიღებს) არასათანადო გადადინება სხვა პირებთან, მათ შორის, კრედო ბანკის დაკავშირებულ მხარეებთან;

- კონფიდენციალური ინფორმაციის სამუშაო მაგიდაზე უყურადღებოდ დატოვება.

ვალდებულება და სანქციები:

კრედო ბანკის აქციონერები, ადმინისტრატორები და თანამშრომლები მოქმედებენ კომპანიის სასარგებლოდ, რაც მოიცავს მათი უნარებისა და კომპეტენციების გამოყენებას, კონფიდენციალურობის დაცვასა და კრედო ბანკისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პოლიტიკისა და კოდექსის დარღვევისათვის თანამშრომელზე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ზემოხსენებული დებულებების დარღვევას მოყვება კომპანიისათვის ზიანი, თანამშრომელი ვალდებული და პასუხისმგებელია აანაზღაუროს ეს ზიანი;
- კომერციული საიდუმლოების გამჟღავნებისათვის თანამშრომელი გათავისუფლდება სამსახურიდან;
- კონფიდენციალური ხასიათის შემცველი ინფორმაციის მესამე პირებზე გადაცემისთვის თანამშრომელი დაისჯება მოცემული დარღვევის სიმძიმის მიხედვით დისციპლინარული პასუხისმგებლობის პოლიტიკის შესაბამისად;
- მომხმარებლის/თანამშრომლის პირადი ფაილების/ინფორმაციის შენახვის წესების დარღვევისათვის თანამშრომელზე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

3. ინტერესთა კონფლიქტი

კრედო ბანკის აქციონერები, ადმინისტრატორები და თანამშრომლები არასოდეს უშვებენ მათი პირადი ინტერესების კონფლიქტში მოსვლას, ან კონფლიქტის წარმოშობას კომპანიისა და მისი მომხმარებლების ინტერესენთან მიმართებაში. კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები ამჟღავნებენ იმ საკითხებს, რამაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას მათ დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას ან ხელი შეუშალოს მათი მოვალეობების შესრულებას მომხმარებლებისა და კრედო ბანკის მიმართ. ასეთი გამჟღავნება ხორციელდება ცხადად, გასაგებ ენაზე და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით;

კრედო ბანკის შემთხვევაში გამჟავნება ხორციელდება შემდეგი წყაროებით:

- ახალი თანამშრომლის შემთხვევაში აყვანის დროს თანამშრომელს ეგზავნება ინტერესთა კონფლიქტის ბმული, სადაც იგი უთითებს ინფორმაციას
- არსებული თანამშრომლის შემთხვევში ინტერესთა კონფლიქტის კვლევა ხორციელდება წელიწადში ერთხელ. შედეგების შენახვა ხდება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის სერვერზე. კვლევის შედეგები იგზავნება კრედო ბანკის მენეჯმენტთან.
- კრედო ბანკის ადმინიტრატორების შესახებ ინფორმაცია და ინტერესთა კონფლიქტების მოკვლევა ხორციელდება სებ-ის რეგულაციის შესაბამისად.

ინტერესთა კონფლიქტი მოიცავს:

- კომპანიის გარეთ დასაქმებასა და ინტერესებს, როგორიც არის საქმიანობა სხვა დამსაქმებლებთან, ან ჩართულობა საქმიანობაში კომპანიის მიღმა და სხვა ინტერესები, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მათ მუშაობასა და კომპანიის ინტერესებზე;
- პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსურ ან სხვა სახის ჩართულობას ბიზნესში, რომელიც კონკურენციას უწევს კრედო ბანკს, წარმოადგენს ამ უკანასკნელის საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელს ან არის მისი მომხმარებელი;
- ურთიერთობას თანამშრომელსა და მომხმარებელს ან მომწოდებელს შორის,
- რომელმაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შებღალოს დაქირავებული თანამშრომლის სამუშაოს წარმოების უნარი, პროფესიონალურ, მიუკერძოებელ ან კონკურენტულ დონეზე ან გავლენა მოახდინოს კრედო ბანკის მიერ მიღებულ ბიზნეს გადაწყვეტილებებზე;
- პირად ტრანზაქციებთან მიმართებით, უპირატესობა მიენიჭოს მომხმარებლებისა და კრედო ბანკისთვის შესასრულებელ ტრანზაქციებს;
- კრედო ბანკიში აკრძალულია შეღავათიანი პირობებით მენეჯმენტის გუნდის წევრებისთვის (უფროსი მენეჯმენტის გუნდი, სერვისცენტრის მმართველები, რეგიონალური მენეჯერები, დეპარტამენტის უფროსები) ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირისათვის სესხის მიცემა, ან ნებისმიერი ფინანსური მომსახურების გაწევა კრედიტის სახეობის, საპროცენტო განაკვეთის, დაფარვის ვადის,უზრუნველყოფის საშუალების ღირებულების ან სხვა რაიმე ფაქტორების მიუხედავად;
- კრედო ბანკი არ აწარმოებს არანაირ ოპერაციას უფროსი მენეჯმენტის გუნდის რომელიმე წევრთან, მონათესავე საწარმოსთან ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერი პირთან, თუ ეს ოპერაცია არ იქნება დამტკიცებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;
- თუ ეროვნული ბანკის შემოწმების თანახმად კრედო ბანკი არის ან პოტენციურად, უახლოეს მომავალში შეიძლება იქცეს პრობლემურ კომპანიად, არ უნდა გაიცეს პრემიები, მანამ, სანამ ეროვნული ბანკის შეფასებით კრედო ბანკი აღარ ჩაითვლება ფაქტოვრივ ან პოტენციურ პრობლემურ კომპანიად.

კრედო ბანკის აქციონერებმა, ადმინისტრატორებმა და თანამშრომელმა თავი უნდა შეიკავონ შემდეგი ტიპის ორგანიზაციებში ჩართულობისგან:

ა. მთავრობა და სამთავრობო დაწესებულებები, და/ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ნებისმიერი დაწესებულება;

ბ. პოლიტიკური პარტიის წევრობის შემთხვევაში, აკრძალულია კრედო ბანკის კუთვნილი ლოგოს, ავტომანქანის და სხვა კრედო ბანკის კუთვნილი და ლოგოიანი ატრიბუტიკის მატარებელი ნივთების გამოყენება ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას; იმ შემთხვევაში, თუ კრედო ბანკის რომელიმე თანამშრომელი ჩართული იქნება პოლიტიკურ ქმედებებში აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს.

გ. კრედო ბანკის მომწოდებლები და სხვა ტიპის კონტრაქტორები.

კრედო ბანკის აქციონერებს, ადმინისტრატორებსა და თანამშრომლებს ეკრძალებათ შეასრულონ სამუშაო ან მუშაობდნენ ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებში:

ა. კრედო ბანკის კონკურენტი ორგანიზაციები;

ბ. ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებულია კრედო ბანკთან და შესაძლოა შეიქმნას პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი.

თუ კრედო ბანკის თანამშრომელი სურვილს გამოთქვამს კრედო ბანკის პარალელურად სხვა ორგანიზაციაში დასაქმებაზე, რომელთანაც ზემოთ ნახსენები ინტერესთა კონლფიქტი არ იქმნება, თანამშრომლემა ეს ფაქტი წინასწარ, მუშაობის დაწყებამდე უნდა შეათანხმოს ხელმძღვანელთან. ამასთან ერთად, პარალელურად სხვა ორგანიზაციაში მუშაობა ხელს არ უნდა უშლიდეს კრედოში მუშაობის სამუშაო საათებს და კრედოში მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

4. ძალადობა და დისკრიმინაცია

კრედო ბანკი ხელს უწყობს ღირსებაზე, ურთიერთპატივისცემასა და ზრდილობაზე დამყარებული კორპორატიული კულტურის წახალისებას. შესაბამისად, ამ კონცეფციის დაცვისთვის კრედო ბანკი უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს, სადაც არ არის სექსუალური ძალადობა და დაშინება რასის, კანის ფერის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების ან სხვა ტიპის დისკრიმინაციის საფუძველზე. კრედო ბანკი თავისი აქციონერებისგან, ადმინიტრატორებისგან, თანამშრომლებისა და პარტნიორი ორგანიზაციისგან ელის ამ პოლიტიკის დაცვას და მის შესაბამისად მუშაობას.

კრედო ბანკი არ მიიღებს და არც შეეგუება თანამშრომლების, მომხმარებლებს, კონტრაქტორებისა და მომწოდებლების მიმართ დისკრიმინაციის გამოვლენის არანაირ ფორმას. დისკრიმინაციის ფორმებია: პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი, ასაკობრივი, წარმომავლობითი და სხვა.

ვალდებულება:

- კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები მოეპყრან ადამიანებს სამართლიანად;
- თავი აარიდონ ნებისმიერ ქმედებას, რაც გამოიწვევს დაშინებას, მუქარას, შეურაცხმყოფელ და მტრულ განწყობას;
- თავი აარიდონ ადამიანების მრწამსის, რასის, რელიგიის, სქესის, ასაკისა და წარმომავლობის შესახებ რაიმე კომენტარის გაკეთებას.

სანქციები:

ის პირები, რომლებიც შემჩნეულნი იქნებიან ძალადობაში და/ან დისკრიმინაციაში, მიღებული იქნება შესაბამისი ზომები, დისციპლინარული პასუხისმგებლობის პოლიტიკის შესაბამისად.

5. საჩუქრები

კრედო ბანკში, საჩუქრების მიღებისა და გაცემის შესახებ პოლიტიკა იხილეთ ქვემოთ ბმულზე (HR პოლიტიკა 5.06):

http://my.credo.ge/article.php?id=3034

6. თანაბარი დასაქმების პირობები

კრედო ბანკი კვალიფიციურ პირებს აძლევს თანაბარი დასაქმების საშუალებას მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა, მათი რასისა, რელიგიისა, კანის ფერისა, ეთნიკური წარმომავლობისა, ენისა, ასაკისა, სქესისა და სხვა ფაქტორებისა. ეს ეხება საქმიანი ურთიერთობის ყველა სფეროს, მათ შორის დაქირავებას, წახალისებას, გადამზადებას, საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტასა და დასაქმების ყველა სხვა პირობას. კრედო ბანკში აკრძალულია დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ფულისა და ფასიანი ნივთების შეთავაზება.

კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირი/თანამშრომელი ვალდებულია:

- მოერიდოს პროტექციასა და სადისკრიმინაციო ფაქტორებს საქმიანი ურთიერთობის ყველა სფეროში;
- არასოდეს მიიღოს ფული, ფასიანი საჩუქრები, გართობის საშუალებები ან სხვა სახის სარგებელი ორგანიზაციაში დასაქმების ხელშეწყობისა და გარანტიისათვის, ან სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და დაწინაურების მიზნით;
- მხოლოდ უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება თანამშრომლის დაქირავების, წახალისების, გადამზადების, მასთან ხელშეკრულების შეწყვეტისა და სხვა პირობების შესახებ მხოლოდ კვალიფიკაციასა და შესრულებული სამუშაოს საფუძველზე.

სანქციები:

- დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალ პირს იმოქმედებს სანქციები დისციპლინარული პასუხისმგებლობის პოლტიკის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ დისკრიმინაციის ფაქტი გამოიწვევს გამოუსწორებელ, მძიმე შედეგებს, პირი გათავისუფლდება სამსახურიდან;
- სამსახურში მიღების/დაწინაურების წესების დარღვევისათვის გამოეცხადება შესაბამისი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა;
- დასაქმების პირობების დარღვევისათვის გამოეცხადება შესაბამისი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა;
- სამსახურში მიღების/დაწინაურების მიზეზით აპლიკანტისგან ფულის, ან სხვა ფასიანი ნივთის ან სარგებლის მიღებისათვის პირი გათავისუფლდება სამსახურიდან.

7. ფინანსური ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

კრედო ბანკის თანამშრომლებს მოეთხოვებათ ჯეროვნად შეასრულონ კომერციული ბანკების ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიმართ ფინანსური ვალდებულებები. დაუშვებელია ისეთი პიროვნების დასაქმება კრედო ბანკიში, ვისაც აქვს აქტიური შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება.

თანამშრომლის პასუხისმგებლობაა:

- იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელს აქვს ვადაგადაცილება ან აქტიური ნეგატიური საკრედიტო ისტორია, იგი პასუხისმგებელია კრედო ბანკის მიერ დაწესებულ გონივრულ ვადაში დაფაროს ვალდებულება.

8. მატერიალური და ინტელექტუალური აქტივების დაცვა

კრედო ბანკის ყველა აქტივი სათანადოდაა გამოყენებული. თანამშრომლები პირადად არიან პასუხისმგებელნი ჩაბარებული აქტივების, მათ შორის: შენობების (ოფისების, საწყობების, ავტოფარეხების), ხელსაწყოების, მარაგების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე. თანამშრომლებმა უნდა დაიცვან ეს აქტივები დაკარგვისგან, დაზიანებისგან, არასათანადოდ, არამიზნობრივად გამოყენებისგან, მოპარვისგან, გამჟღავნებისგან.

კომპანიის თანამშრომლებს, რომლებიც სარგებლობენ კომპანიის კუთვნილი ნივთებით როგორიცაა ავტომანქანა, ტელეფონი, ლეპტოპი და სხვა, უფლება ეძლევათ გაიტანონ კომპანიის ოფისებს გარეთ მხოლოდ მათთვის სარგებლობაში გადაცემული და კომპანიის საკუთრებაში არსებული ნივთები, ოღონდ ვალდებულენი არიან მოუფრთხილდნენ კომპანიის საკუთრებას, ხოლო მათი დაზიანების შემთხვევაში აანაზღაურონ ზიანი.

ვალდებულება:

- მოუფრთხილდეს კომპანიის მიერ სარგებლობის უფლებით გადაცემულ ნივთებს;
- თავიდან აიცილოს კომპანიის აქტივების დაკარგვა, დაზიანება, არასათანადო გზით გამოყენება, მოპარვა, არამიზნობრივი გამოყენება და ხელყოფა;
- არ გაამჟღავნოს და/ან არ გადასცეს სხვა პირებს კომპანიის კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრება.

პასუხისმგებლობები:

- სარგებლობის უფლებით მიბარებული კომპანიის ნივთების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურდეს მატერიალური ზიანი;
- კომპანიის კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრების უკანონოდ გავრეცელებისთვის, პირი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი ან/და მასზე გავრცელდება შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა დისციპლინალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შესაბამისად.

9. კომპანიის საკომუნიკაციო სისტემებით სარგებლობა

კრედო ბანკის საკომუნიკაციო სისტემები მნიშვნელოვანია კომპანიის საქმიანობისათვის. კომპანიის საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება არ მოიცავს უკანონო, კონფიდენციალური/პერსონალური ინფორმაციის შემცველი, შეურაცხმყოფელი, შემავიწროვებელი, მადისკიმინირებელი ან სხვა შეუსაბამო მასალების გაგზავნას, შენახვას, ჩვენებას ან გადაგზავნას, მათ შორის ფოტოსურათებს,ან ძალადობისა და შეურაცხმყოფელი მასალის შემცველ ტექსტებსა თუ სურათებს.

ვალდებულება:

- დაიცვას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და უზრუნველყოფის პოლიტიკა.

პასუხისმგებლობა:

კომპანიის საკომუნიკაციო სისტემებით უხეშად სარგებლობისთვის თანამშრომელზე ვრცელდება დისციპლინური პასუხისმეგბლობის შესაბამისი ზომა, რაც განისაზღვრება დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე.

10. შესყიდვითი საქმიანობა

კრედო ბანკის შესყიდვების საქმიანობა არის გამჭვირვალე. შესყიდვები წარმოებს კომპანიაში მოქმედი შესყიდვების პოლიტიკის მიხედვით.

ვალდებულება:

- შეირჩეს მომწოდებლები მხოლოდ მოწოდების პირობების სამართლიანი შეფასების გზით;
- თავიდან იქნეს აცილებული პროტექციის ნებისმიერი გამოვლენა მომწოდებლების მიმართ;
- თავიდან იქნეს არიდებული ინტერესთა კონფლიქტი შესყიდვების განხორციელებისას;
- მკაცრად იქნეს დაცული შესყიდვების პოლიტიკით განსაზღვრული წესები.

დაუშვებელია:

- მომწოდებლების მხრიდან ფულადი თანხების ან საჩუქრების მიღება, რადგანაც ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე;
- თანამდებობისა და პოზიციის გამოყენება საკუთარი პრივილეგიებისთვის.

სანქციები:

შესყიდვების პოლიტიკის უხეში დარღვევისთვის პირზე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა მოცემული დარღვევის სიმძიმის მიხედვით.

11. ალკოჰოლის და აკრძალული ნივთიერებების მოხმარება

კრედო ბანკის ოფისებში იკრძალება ალკოჰოლის და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება, გაყიდვა, შესყიდვა ან შენახვა, ამასთანავე დაუშვებელია ნარკოტიკული

ნივთიერებების გადაცემა. ასევე კრედო ბანკის ოფისებში დაუშვებელია სიგარეტის მოწევა, მათ შორის ელექტრონული სიგარეტის მოწევა.

- დაუშვებელია ალკოჰოლის და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, გაყიდვა, გადაცემა, შესყიდვა ან ფლობა კრედო ბანკის ოფისებში და/ან სამუშაო საათებში;
- დაუშვებელია სიგარეტის/ელექტრო სიგარეტის მოწევა კრედო ბანკის ოფისებში;
- დასაშვებია კომპანიის ადმინისტრაციის მიერ ოფიციალურად დადგენილი ღონიძიებიების დროს ალკოჰოლის ზომიერი მიღება.

თანამშრომლის პასუხისმგებლობაა:

- კომპანიის ოფისში ალკოჰოლური ზემოქმედების შემთხვევაში პირს გამოეცხადება გაფრთხილება დისციპლინური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შესაბამისად;
- პირი, რომელიც შემჩნეული იქნება საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნარკოტიკული ნივთიერებების კრედო ბანკის ოფისებში მოხმარებაში ან გამოცხადდება სამსახურიში ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ, სამსახურიდან გათავისუფლება;
- პირი, რომელიც შემჩნეული იქნება კრედო ბანკის ოფისში სიგარეტის მოწევისას (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა) გამოეცხადება გაფრთხილება დისციპლინარული პასუხისმგებლობის პოლიტიკის შესაბამისად.

12. აზარტული თამაშები

კრედო ბანკი ქმნის უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს და მუდმივად ზრუნავს, რომ დასაქმებულები არ დაზარალდნენ აზარტულ თამაშებში ჩართულობით გამოწვეული ნეგატიური ეფექტით. ვინაიდან ბანკი სერიოზულ რისკად მიიჩნევს აზარტულ თამაშებში თანამშრომელთა ჩართულობას, რასაც მოაქვს ზიანი დასაქმებულების ჯანმრთელობისთვის (სტრესი, დეპრესია) ფინანსური მდგომარეობისა და ურთიერთობებისთვის.

თანამშრომელთა პასუხისმგებლობა:

ამ ზიანის შესამცირებლად და პრევენციისთვის ყველა თანამშრომლისთვის დაუშვებელია:

- ჩართვა აზარტულ თამაშებში სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამუშაო დროის გამოყენება აზარტული თამაშებისთვის
- აზარტული თამაშებისთვის განკუთვნილ დაწესებულებებში შესვლა კრედო ბანკის მაიდენტიფიციერბელი სამკერდე ნიშნით, ლოგოიანი მაისურით, ბრენდირებული სამოსით ან დეტალით, ასევე კრედო ბანკის ავტომობილით, მათ შორის არასამუშო საათებშიც
- კომპანიის კუთვნილი ელექტროტექნიკის გამოყენება (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი და ა.შ.) აზარტულ თამაშებში ჩასართავად

თანამშრომელთა ჩართულობა აზარტულ თამაშებში მიიჩნევა აღნიშნული კოდექსის დარღვევად, შესაბამისად ბანკი არ იქნება ტოლერანტული მსგავსს აქტივობებში მონაწილე თანამშრომელთა მიმართ.

სანქციები:

თანამშრომელს, რომელიც შემჩნეული იქნება ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევაში, დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა კრედო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად.

13. კრედიტის ამოღება

კრედო ბანკში, საკრედიტო დავალიანების მქონე მომხმარებელთან, საკონტაქტო, უფლებამოსილ, დაკავშირებულ და მესამე პირთან ურთიერთობა, რეგულირდება კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსით - დანართი#1

კრედო ბანკისა და მომხმარებლის ურთიერთობა ემყარება სანდოობის, გამჭვირვალობის, ურთიერთპატივისცემის, ზუსტი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდებისა და მხარეთა პასუხისმგებლობის საზოგადოდ მიღებულ პრინციპებსა და ნორმებს.

კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირი/თანამშრომელი ვალდებულია:

- იმოქმედოს კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის შესაბამისად

თანამშრომლის პასუხისმგებლობა:

- კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით და ბანკის პოლიტიკით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომები ან/და სანქციები, დააკისროს დამრღვევს მისი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზრაურება.

14. ჩაცმულობა და შეხედულება

კრედო ბანკის თანამშრომელთა გარეგნული შესახედაობა და ჩაცმულობა უნდა შეესაბამებოდეს ოფისში ჩაცმის ეტიკეტით განსაზღვრულ წესებს.

თანამშრომელი ვალდებულია:

- დაიცვას ოფისში ჩაცმის ეტიტეტი.

თანამშრომლის პასუხისმგებლობაა:

- იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი ჩაცმულია სამსახურისთვის შეუფერებლად, მის უშუალო უფროსს აქვს უფლება არ დაუშვას ასეთ

თანამშრომელი სამუშაო ადგილზე შესაბამისი იერსახის მიღებამდე.

- იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი უფროსისგან 3-ჯერ მიიღებს არაფორმალურ შენიშვნას სამსახურისთვის შეუფერებელი ჩაცმულობის გამო, თანამშრომელს მიეცემა ოფიციალური გაფრთხილება წერილობითიფორმით.

15. კოდექსთან შესაბამისობა

კომპანიის რეპუტაციის დაცვა და წინამდებარე კოდექსთან შესაბამისობა ყოველი პირის მოვალეობაა. ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი პირები/სამეთალყურეო საბჭო ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა შესაძლო ზომა დარღვევების აღმოსაფხვრელად და დამრღვევების მიმართ დისციპლინური ზომების გასატარებლად.